

განკარგულება N

ქ. ოზურგეთი
2018წ----- სექტემბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური
ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-13 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 ივლისის N47 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე